საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 0 22 0000475429

11/05/2022

ბრძანება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების 35-ე მუხლისა და 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებისა (ოქმი N7,10.05.2022წ) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნინო კოჭლოშვილის სამსახურებრივი ბარათის (469484 10/05/2022) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დაინიშნოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნები;
2. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 28 ივნისს, 10:00 საათიდან -14:00 საათამდე;

3. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2022 წლის 13 ივნისს და დასრულდეს 2022 წლის 20 ივნისს;
4.კანდიდატთა განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი N207, 10:00 საათიდან - 17 საათამდე;
5.დეკანობის კანდიდატებმა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია (CV);
დ) ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია;
ე) ცნობა კანდიდატის აკადემიური თანამდებობის შესახებ;
ვ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა

6. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს;
7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
8.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

სსიპ –იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი